# პროკრედიტ ბანკის სააქციო კაპიტალი

მდებარეობა:
რეგიონალური

პროექტის ნომერი:
54191

ბიზნეს სექტორი:
ფინანსური ინსტიტუტები

შეტყობინების ტიპი:
კერძო

გარემოს დაცვის კატეგორია:
FI

დამტკიცების თარიღი:
10 მარტი 2023

სტატუსი:
**ხელმოწერილი**

PSD გაზიარდა:
17 მარტი 2023

*როგორც ნებადართულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის III ნაწილის 2.6 პუნქტით, ამ PSD-ის გაზიარება გადაიდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის 1.4.4 პუნქტის შესაბამისად.*

## პროექტის აღწერა

პროექტი გულისხმობს EBRD-ის მიერ დამატებით 5%-იანი წილის შეძენას ProCredit Holding AG & Co. KGaA-ში შემდგომი სააქციო ტრანზაქციით. 2018 წელს შეძენილ საწყის 3.6 პროცენტთან ერთად EBRD-ის წილი 8.7 პროცენტამდე გაიზრდება. გარიგების ფარგლებში EBRD ასევე შეისყიდის 9.9%-იან წილს მენეჯმენტის კომპანია ProCredit General Partner AG-ში. Zeitinger Invest, KfW, Doen Participaties და ProCredit Staff Invest-თან ერთად EBRD გახდება ProCredit Group-ის, ძირითადი აქციონერი. თითოეულ სუბიექტში წილების შეძენა მოხდება კერძო ორმხრივი ტრანზაქციის შედეგად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC). საჭიროების შემთხვევაში, ტრანზაქციის დასრულებამდე უნდა იქნას მიღებული შესაბამისი მარეგულირებლის ნებართვები.

## პროექტის მიზნები

ინვესტიცია ხელს შეუწყობს პროკრედიტ ჰოლდინგს ღია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის და ამავე დროს, ზემოქმედებაზე ორიენტაციის შენარჩუნების პროცესში, როგორც ეს პროკრედიტ ჰოლდინგმა 2022 წლის ოქტომბერში გამოაცხადა. გარდა ამისა, EBRD დაეხმარება ჯგუფს მმართველობისა და ბიზნეს სტრატეგიის განვითარების პროცესში და იმუშავებს პროკრედიტთან კლიმატის შერბილების ძალისხმევის გაფართოებისა და ფინანსური და ოპერატიული საქმიანობის სინქრონიზაციისთვის პარიზის შეთანხმების მიზნებთან.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 69

პროექტი მხარს უჭერს **ეფექტური მმართველობის** და **მედეგობის** თვისებებს:

- **კეფექტური მმართველობა:** EBRD, როგორც ახალი ძირითადი აქციონერი, მხარს დაუჭერს ProCredit Holding-ის მმართველობის, სტრატეგიის განვითარების და ღია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის პროცესში. გარდა ამისა, პროექტი დაეხმარება პროკრედიტ ჰოლდინგს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბიზნეს პრაქტიკის განვითარებაში.
- **მედეგობა**: პროექტი ხელს შეუწყობს ჯგუფს მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) დაფინანსებაში ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

ProCredit Holding AG & Co. KGaA არის პარტნიორობა შეზღუდული აქციებით რეგისტრირებული გერმანიაში (KGaA). ეს არის განვითარებაზე ორიენტირებული საბანკო ჯგუფი, რომელიც ფოკუსირებულია მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე, დივერსიფიცირებული ოპერაციებით 12 საბანკო შვილობილი კომპანიის მეშვეობით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. პროკრედიტ ჰოლდინგი წარმოდგენილია ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე (FSE) 2016 წლის დეკემბრიდან და ის EBRD-ის დიდი ხნის კლიენტია.

## დამატებითი ფაქტორები

- **რისკის შერბილება:** EBRD-ის და ბანკის გრძელვადიანი თანამშრომლობა კომფორტს უქმნის კლიენტს, რომ მან დაუშვას/აიღოს მეტი რისკი და/ან დაფინანსება და ეხმარება კლიენტს კლიმატის მართვის რისკების შერბილებასა და კლიმატის მოქმედებების განხორციელებაში, როგორიცაა შიდა კორპორატიული მენეჯმენტის გაუმჯობესება კლიმატის რისკების მართვისთვის.

- **სტანდარტების განსაზღვრა:** EBRD ხელს შეუწყობს კლიენტის კორპორატიული მმართველობის პროცესს, მათ შორის, კლიმატის რისკის მართვის გაუმჯობესებას.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2014). პროკრედიტ ჰოლდინგს მოეთხოვება შეასრულოს PR 2, 4 და 9, და შემდგომ, განახორციელოს და დაიცვას EBRD-ის შესაბამისი გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) პროცედურები. ESD-ის ფარგლებში განხორციელდა პროკრედიტ ჰოლდინგის არსებული შვილობილი კომპანიების მონიტორინგი და დადგინდა, რომ მათი საქმიანობა შეესაბამება EBRD-ის E&S მოთხოვნებს, მათ შორის, ადამიანური რესურსების და ESMS პოლიტიკასა და პროცედურების კუთხით, რაც შეესაბამება EBRD-ის შესრულების მოთხოვნებს 2, 4 და 9. მხარდაჭერილი აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით პროექტს მოეთხოვება: (i) გააგრძელოს პროცედურების განხორციელება, რათა უზრუნველყოს შვილობილი კომპანიების ყველა ინვესტიციის შემოწმება და დამუშავება, რათა თავიდან იქნას აცილებული EBRD E&S გამორიცხვის სიაში ჩამოთვლილი მხარდამჭერი საქმიანობა; (ii) ჰყავდეს მენეჯმენტი ან კვალიფიციური პირები E&S პროცედურების მართვისა და განხორციელებისთვის; (iii) განაგრძოს იმის უზრუნველყოფა, რომ სისტემები და პოლიტიკა შეესაბამებოდეს EBRD-ის შესრულების მოთხოვნებს 2, 4 და 9 ყველა შვილობილ კომპანიაში და (iv) განაგრძოს EBRD-ისთვის მისაღები წლიური E&S ანგარიშების წარმოება.

## ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

არ იგეგმება.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ინვესტორებთან ურთიერთობის გუნდი
PCH.ir@procredit-group.com
+49 69 951 437 300
https://www.procredit-holding.com/
ProCredit Holding AG & Co. KGaA Rohmerplatz 33-37 60486 Frankfurt am Main Federal
გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა

## განხორციელების შეჯამება

## PSD-ის ბოლო განახლების თარიღი

17 მარტი 2023

## დაკავშირებული მასალა

- Translation: ProCredit Bank equity (Ukrainian)
  ტიპი: PDF, გამოქვეყნდა: 02.05.2024, ენა: უკრაინული

- ## გარდაქმნის ეფექტი
- დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.
-
- ## ბიზნეს შესაძლებლობები
-
- ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.
-
- EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
- ტელ: +44 20 7338 7168
- ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
-
- სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
  ტელ.: +44 20 7338 6794
- ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com
-
- ## ზოგადი საკითხები
-
- კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.
- ## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)
-
- ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების" მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან

დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

- დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

- ## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

- EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად**.** OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.
- OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

- ## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

-
- ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე

ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
- კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

- ## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

- თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).
- IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.
- გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.
- 